

საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №99

2018 წლის 14 ივნისი

ქ. საჩხერე

„საჩხერის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის განსაზღვრის შესახებ“ საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების საფუძველზე, საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება, „საჩხერის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის განსაზღვრის შესახებ“ საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №46 დადგენილებაში (სსმ, 28/12/2017 წ.; სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.130.016255) და დადგენილების დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საჩხერის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ლევან ივანაშვილი

დანართი

თავი I

საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	14,637.0	17,131.8	7,702.0	9,429.8	16,444.8	6,313.6	10,131.2
გადასახადები	1,256.4	1,132.0	0.0	1,132.0	1,000.0	0.0	1,000.0
გრანტები	12,337.0	13,983.5	7,702.0	6,281.5	13,631.4	6,313.6	7,317.8
სხვა შემოსავლები	1,043.6	2,016.3	0.0	2,016.3	1,813.4	0.0	1,813.4
ხარჯები	7,798.5	7,430.6	353.0	7,077.6	8,491.2	459.1	8,032.1
შრომის ანაზღაურება	1,988.1	1,893.2	89.7	1,803.5	2,059.8	88.0	1,971.8



საქონელი და მომსახურება	1,258.0	1,077.8	158.7	919.1	1,563.7	133.3	1,430.4
პროცენტი	0.0	0.0	0.0	0.0	70.8	0.0	70.8
სუბსიდიები	3,439.3	3,394.6	95.0	3,299.6	3,480.2	101.0	3,379.2
გრანტები	22.6	22.7	0.0	22.7	16.0	0.0	16.0
სოციალური უზრუნველყოფა	877.8	706.4	9.6	696.8	882.8	9.6	873.2
სხვა ხარჯები	212.7	335.9	0.0	335.9	417.9	127.2	290.7
საოპერაციო საღდო	6,838.5	9,701.2	7,349.0	2,352.2	7,953.6	5,854.5	2,099.1
არაფინანსური აქტივების ცვლილება	6,771.9	9,095.1	6,658.6	2,436.5	9,237.0	6,828.8	2,408.2
ზრდა	6,868.2	9,119.5	6,658.6	2,460.9	9,250.0	6,828.8	2,421.2
კლება	96.3	24.4	0.0	24.4	13.0	0.0	13.0
მთლიანი საღდო	66.6	606.1	690.4	-84.3	-1,283.4	-974.3	-309.1
ფინანსური აქტივების ცვლილება	-22.8	200.4	393.8	-193.4	-1,477.2	-1,134.4	-342.8
ზრდა	100.8	648.3	393.8	254.5	180.0	0.0	180.0
ვალუტა და დეპოზიტები	80.8	393.8	393.8		0.0	0.0	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი	20.0	254.5	0.0	254.5	180.0	0.0	180.0
კლება	123.6	447.9	0.0	447.9	1,657.2	1,134.4	522.8
ვალუტა და დეპოზიტები	123.6	447.9	0.0	447.9	1,657.2	1,134.4	522.8
ვალდებულებების ცვლილება	-89.4	-405.7	-296.6	-109.1	-193.8	-160.1	-33.7
კლება	89.4	405.7	296.6	109.1	193.8	160.1	33.7
საშინაო	89.4	405.7	296.6	109.1	193.8	160.1	33.7
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 2. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

		2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა



დასახელება	2016 წლის ფაქტი	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	14733.3	17156.2	7702.0	9454.2	16457.8	6313.6	10144.2
შემოსავლები	14637.0	17131.8	7702.0	9429.8	16444.8	6313.6	10131.2
არაფინანსური აქტივების კლება	96.3	24.4	0.0	24.4	13.0	0.0	13.0
გადასახდელები	14776.1	17210.3	7308.2	9902.1	18115.0	7448.0	10667.0
ხარჯები	7798.5	7430.6	353.0	7077.6	8491.2	459.1	8032.1
არაფინანსური აქტივების ზრდა	6868.2	9119.5	6658.6	2460.9	9250.0	6828.8	2421.2
ფინანსური აქტივების ზრდა	20.0	254.5	0.0	254.5	180.0	0.0	180.0
ვალდებულებების კლება	89.4	405.7	296.6	109.1	193.8	160.1	33.7
ნაშთის ცვლილება	-42.8	-54.1	393.8	-447.9	-1657.2	-1134.4	-522.8

თავი II საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

მუხლი 3. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსავლები 16444.8 ათასი ლარის ოდენობით.

ათას ლარებში

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	14637.0	17131.8	7702.0	9429.8	16444.8	6313.6	10131.2
გადასახდელები	1256.4	1132.0	0.0	1132.0	1000.0	0.0	1000.0
გრანტები	12337.0	13983.5	7702.0	6281.5	13631.4	6313.6	7317.8
სხვა შემოსავლები	1043.6	2016.3	0.0	2016.3	1813.4	0.0	1813.4



მუხლი 4. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის გადასახადები 1000.0 ათასი ლარის ოდენობით.

ათას ლარებში

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
გადასახადები	1256.4	1132.0	1000.0
საშემოსავლო გადასახადი	763.6	577.0	500.0
გადასახადი მეწარმე ფიზიკურ პირთა საქმიანობით მიღებული შემოსავალი	763.6	577.0	500.0
ქონების გადასახადი	492.8	555.0	500.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	242.6	324.8	380.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	105.0	107.8	45.0
ეკონომიკურ საქმიანობაზე გამოყენებულ ქონებაზე	0.1	0.1	10.0
არაეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	104.9	107.7	35.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	37.3	27.8	15.0
ფიზიკური პირებიდან	8.9	15.9	10.0
იურიდიული პირებიდან	28.4	11.9	5.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	107.9	94.6	60.0
ფიზიკური პირებიდან	25.3	15.8	10.0
იურიდიული პირებიდან	82.6	78.8	50.0
სხვა არაკლასიფიცირებული ქონების გადასახადი	0.0	0.0	0.0

მუხლი 5. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის გრანტები 13631.4 ათასი ლარის ოდენობით

ათას ლარებში

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
გრანტები	12337.0	13983.5	13631.4



სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	12337.0	13983.5	13631.4
გათანაბრებითი ტრანსფერი	5959.4	6281.5	7317.8
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	188.5	190.0	190.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი	6189.1	7512.0	6123.6
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	0.0	17.2	0.0
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	3158.2	4908.3	4116.6
სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი სახსრები	918.5	0.0	0.0
საქართველოს მთავრობის განკარგულებით სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად გამოყოფილი სახსრები	1637.4	2111.5	790.0
მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	475.0	475.0	1217.0

მუხლი 6. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 1813.4 ათასი ლარის ოდენობით.

ათას ლარებში

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	1043.6	2016.3	1813.4
შემოსავლები საკუთრებიდან	554.4	446.1	471.0
პროცენტები	129.4	87.5	50.0
დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	129.4	87.5	50.0
რენტა	425.0	358.6	421.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	424.9	357.9	420.0
მოსაკრებელი წიაღით სარგებლობისათვის	169.5	117.9	215.0
მოსაკრებელი სახელმწიფო ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლობისათვის	101.2	84.8	100.0
მოსაკრებელი წყლის რესურსებით სარგებლობისათვის	1.3	3.7	2.0
მოსაკრებელი გარემოდან გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე	4.5	4.3	3.0
სხვა არაკლასიფიცირებული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი	148.4	147.2	100.0



შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	0.1	0.7	1.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	237.6	1391.2	1158.6
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	179.7	1278.4	1058.6
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0.0	0.0	0.1
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0.4	0.2	0.5
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	120.5	1220.9	1000.0
სისტემურ- ელექტრონული ფორმის თამაშობებიდან	120.5	1220.9	1000.0
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	52.4	50.8	50.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	57.9	112.8	100.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	57.9	112.8	100.0
შემოსავლები შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	57.9	112.8	100.0
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	142.0	137.6	168.8
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	142.0	137.6	168.8
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში	10.7	9.2	10.0
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო გარემოს დაცვის, ბუნებათსარგებლობის სფეროში	14.4	8.4	2.0
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში	101.5	102.7	145.0
საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო	78.8	91.6	130.0
სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში	22.7	11.1	15.0
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ვაჭრობისა და ფინანსების დარგში	0.7	0.3	0.3
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) საზოგადოებრივი წესრიგის ხელმოყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	0.7	0.1	0.5
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მმართველობის დადგენილი წესის ხელმოყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	6.8	0.0	5.0
შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებულ საქონლებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	7.0	10.4	6.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	109.6	41.4	15.0



შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან	0.0	41.0	0.0
სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	109.6	0.0	15.0

თავი III

საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია

მუხლი 7. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ხარჯები 8491.2 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით.

ათას ლარებში

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	7,798.5	7,430.6	353.0	7,077.6	8,491.2	459.1	8,032.1
შრომის ანაზღაურება	1,988.1	1,893.2	89.7	1,803.5	2,059.8	88.0	1,971.8
საქონელი და მომსახურება	1,258.0	1,077.8	158.7	919.1	1,563.7	133.3	1,430.4
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	98.9	107.3	0.0	107.3	139.6	0.0	139.6
მივლინება	12.1	26.5	0.0	26.5	22.6	0.0	22.6
ოფისის ხარჯები	244.9	156.9	4.0	152.9	213.0	0.0	213.0
წარმომადგენლობითი ხარჯები	32.1	14.4	0.0	14.4	12.5	0.0	12.5
რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	2.7	81.5	0.2	81.3	1.7	0.0	1.7
ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	91.5	689.1	154.5	534.6	123.8	0.0	123.8
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	775.8	0.0	0.0	0.0	1,050.5	133.3	917.2



პროცენტი	0.0	0.0	0.0	0.0	70.8	0.0	70.8
სუბსიდიები	3,439.3	22.7	0.0	22.7	3,480.2	101.0	3,379.2
გრანტები	22.6	706.4	9.6	696.8	16.0	0.0	16.0
სოციალური უზრუნველყოფა	877.8	335.9	0.0	335.9	882.8	9.6	873.2
სხვა ხარჯები	212.7	7,430.6	353.0	7,077.6	417.9	127.2	290.7

მუხლი 8. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 9237.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 9250.0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	138.2	91.8	0.0	91.8	140.0	0.0	140.0
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	3.1	6.0	0.0	6.0	6.0	0.0	6.0
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	5790.4	8349.2	6201	2148.2	8060.2	6368	1692.2
04 00	განათლება	165.6	176.3	130.5	45.8	417.1	237.5	179.6
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	767.9	496.2	327.1	169.1	620.3	223.3	397.0
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	3.0	0.0	0.0	0.0	6.4	0.0	6.4
	ჯამი	6868.2	9119.5	6,658.6	2,460.9	9250.0	6,828.8	2,421.2





	ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები							
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,563.9	2,456.6	43.9	2,412.7	2,764.5	0.0	2,764.5
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	0.0	0.0	0.0	87.5	0.0	87.5
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0.0	0.0	0.0	0.0	80.4	0.0	80.4
702	თავდაცვა	154.6	141.0	93.9	47.1	149.6	88.0	61.6
7021	შეიარაღებული ძალები	154.6	141.0	93.9	47.1	149.6	88.0	61.6
704	ეკონომიკური საქმიანობა	4,525.4	7,621.6	5,720.6	1,901.0	7,289.2	5,873.3	1,415.9
7045	ტრანსპორტი	3,702.0	7,380.9	5,671.2	1,709.7	7,051.2	5,873.3	1,177.9
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	3,702.0	7,380.9	5,671.2	1,709.7	7,051.2	5,873.3	1,177.9
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	823.4	240.7	49.4	191.3	238.0	0.0	238.0
705	გარემოს დაცვა	995.0	840.9	234.6	606.3	1,086.1	405.0	681.1
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	348.8	334.1	0.0	334.1	521.8	0.0	521.8
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	315.9	252.8	159.4	93.4	378.7	347.1	31.6
7053	გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა	218.3	75.2	75.2	0.0	71.4	57.9	13.5
7054	ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა	112.0	178.8	0.0	178.8	114.2	0.0	114.2
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1,134.8	707.9	356.4	351.5	705.6	223.0	482.6
7061	ბინათმშენებლობა	6.0	112.9	0.0	112.9	123.5	86.0	37.5
7062	კომუნალური მეურნეობის	74.7	15.9	0.0	15.9	305.2	137.0	168.2



	განვითარება							
7063	წყალმომარაგება	943.9	398.8	356.4	42.4	94.0	0.0	94.0
7064	გარე განათება	107.7	180.3	0.0	180.3	163.0	0.0	163.0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	2.5	0.0	0.0	0.0	19.9	0.0	19.9
707	ჯანმრთელობის დაცვა	139.7	95.0	95.0	0.0	301.3	228.2	73.1
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	102.3	95.0	95.0	0.0	101.0	101.0	0.0
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	37.4	0.0	0.0	0.0	200.3	127.2	73.1
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	2,207.3	1,879.5	327.1	1,552.4	2,016.8	223.3	1,793.5
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	754.3	960.6	327.1	633.5	913.8	0.0	913.8
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1,413.0	873.9	0.0	873.9	1,068.0	223.3	844.7
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	40.0	45.0	0.0	45.0	35.0	0.0	35.0
709	განათლება	1,971.8	2,027.9	130.5	1,897.4	2,323.5	237.5	2,086.0
7091	სკოლამდელი აღზრდა	1,767.3	1,864.4	130.5	1,733.9	2,164.5	237.5	1,927.0
7096	განათლების სფეროში დამხმარე მომსახურება	29.7	0.7	0.0	0.7	0.0	0.0	0.0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	174.8	162.8	0.0	162.8	159.0	0.0	159.0
710	სოციალური დაცვა	974.2	779.7	9.6	770.1	936.7	9.6	927.1
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	486.5	457.4	0.0	457.4	575.0	0.0	575.0



71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	412.5	426.7	0.0	426.7	530.0	0.0	530.0
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	74.0	30.7	0.0	30.7	45.0	0.0	45.0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	16.0	7.1	0.0	7.1	10.0	0.0	10.0
7103	მარჩენადკარგულ პირთა სოციალური დაცვა	19.0	15.7	0.0	15.7	13.0	0.0	13.0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	292.7	185.0	8.6	176.4	188.6	8.6	180.0
7106	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	5.0	4.6	0.0	4.6	10.0	0.0	10.0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	48.1	50.2	0.0	50.2	57.1	0.0	57.1
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	106.9	59.7	1.0	58.7	83.0	1.0	82.0
	სულ	14,666.7	16550.1	7,011.6	9,538.5	17,741.2	7,287.9	10,453.3

თავი IV

საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივების ცვლილება და სარეზერვო ფონდი

მუხლი 10. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -1283.4 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

- განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება -1477.2 ათასი ლარის ოდენობით.
- განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა 180.0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

ფინანსური აქტივების ზრდა	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
ზრდა	100.8	648.3	180.0
ვალუტა და დეპოზიტები	80.8	393.8	0.0



აქციები და სხვა კაპიტალი	20.0	254.5	180.0
--------------------------	------	-------	-------

3. განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება - 1657.2 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ფინანსური აქტივების კლება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
კლება	123.6	447.9	1657.2
ვალუტა და დეპოზიტები	123.6	447.9	1657.2

მუხლი 12. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალის საპროგნოზო მოცულობა

განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალის საპროგნოზო მოცულობა 2018 წლის დასაწყისიდან 520.625 ათასი ლარის ოდენობით.

კრედიტორები	ვალის ნაშთი 2017 წლის ბოლოსათვის	
მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხი	520.626	
სულ ვალის საპროგნოზო მოცულობა	520.626	

მუხლი 13. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის მოცულობა 87.5 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 14. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის ფონდი

საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის ფონდი 2018 წლისათვის განისაზღვრა 80.4 ათასი ლარით.

თავი V

საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები 2018-2021 წლებისათვის პროგრამები/ქვეპროგრამები

მუხლი 15. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები/ქვეპროგრამები

განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები (პირველი დონე), მათ ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები (მეორე დონე) და ქვეპროგრამები (მესამე დონე) შემდეგი რედაქციით:

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)



მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება დასუფთავების ღონისძიებები, მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა, პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება, რაც თავის თავში გულისხმობს საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვას. გაგრძელდება არსებული გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა, დასუფთავების ღონისძიებები, სანიაღვრე არხების შლამისა და ნატანისაგან გაწმენდა, მათი აღდგენა და მოვლა-პატრონობა, სპორტული მოედნების მოწყობა, არსებული სკვერებისა მოვლა-შენახვა და მოწყობა, გამწვანების სამუშაოები და სხვა.

1.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საჩხერის მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება, ასევე დაგეგმილია მისასვლელ და საუბნო გზაზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა, ქუჩების რეაბილიტაცია. მდინარეებზე ხიდ-ბოგიერების მოწყობა, ასევე გზის საფარის თოვლისგან გაწმენდა საჭიროების შემთხვევაში. დაიგეგმა მუნიციპალიტეტში საყრდენი კედლების, ხიდ-ბოგიერების, ქალაქ საჩხერეში ქუჩების, მისასვლელი და საუბნო გზების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, საგზაო ნიშნების დამონტაჟება, კერძოდ საგზაო ვიდეოკამერების და კამერებთან დასაყენებელი აბრების შეძენა.

1. საყრდენი კედლების მოწყობა (პროგრამული კოდი 03 01 01)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქ. საჩხერეში კოსტავას და დურმიშიძის ქუჩების დამაკავშირებელ ჩიხებში, მუნიციპალიტეტში სხვადასხვა უბნებში საყრდენი კედლების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. ჩატარდება საყრდენი კედლების რეაბილიტაცია ქ. საჩხერეში მაჭავარიანის I შესახვევში, რუსთაველის, 26 მაისის. საყრდენი კედლები მოეწყობა ქ. საჩხერეში მელიქიშვილის ქუჩებზე, მუნიციპალიტეტის სოფლებში საირხეში, ჭორვილაში და მერჯევში. საყრდენი კედლის მოწყობა-რეაბილიტაცია მოხდება ქ. საჩხერეში ახალგაზრდობის ქუჩაზე, სოფლებში: სხვიტორში, ქორეთში, კალვათაში და სპეთში. საირხეში მესხების უბანში, ქ. საჩხერეში კონსტიტუციის ქუჩაზე ფერდობზე ქვის ლოდის გადამაგრებისათვის მოეწყობა საყრდენი კედელი.

1.1.2 თოვლისაგან გზის გაწმენდის სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია თოვლისაგან გზების გაწმენდა და მოყინულ გზებზე მარილის მოყრა, ამით დაცული იქნება მოქალაქეების უსაფრთხო გადაადგილება.

1.1.3 ხიდების, ბოგიერების მშენებლობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 01 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში არსებულ მდინარეებზე: შუშაზე და იზვარაზე ხიდის, ჭალის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ საკოხიაში ხიდ-ბოგიერის და სხვა ხიდებისა და ხიდ-ბოგიერების რეაბილიტაცია. დაიგეგმა სხვადასხვა სოფელში ხიდ-ბოგიერების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. დაგეგმილია სოფელ პერევში საცალფეხო ხიდის რეაბილიტაცია, ხოლო სოფელ ჭალოვანში ლაშიათხების უბანში, ხიდ-ბოგიერის მოწყობა. ქ. საჩხერეში გომართლის I შესახვევში სანიაღვრე არხზე მოხდება ხიდ-ბოგიერის რეაბილიტაცია, ასევე მოხდება რეაბილიტაცია ხიდ ბოგიერების სოფლებში: ჯალაურთაში ცარციძეების უბანში, კალვათაში გულიაშვილების უბანში, კორბოულში სისვამეები- შალიახიების უბანში, შომახეთში ლაშხების და წყივილების უბანში, ჭორვილაში ივანაშვილების და საირხეში მესხების უბნებში და სხვა.

1. საგზაო ნიშნების დამონტაჟება და ქუჩების მონიშვნითი სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 01 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში იგეგმება მდინარე ჯრუჭულასთან საჩხერის მუნიციპალიტეტის მიმანიშნებელი სტელას მოწყობა, საგზაო ვიდეოკამერებისა და კამერებთან დასაყენებელი აბრების მოწყობა.



1.1.5 ქალაქ საჩხერეში ქუჩების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 01 06)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქ. საჩხერის ადმინისტრაციულ ერთეულში საავტომობილო გზებზე რკინა-ბეტონის და ასფალტის საფარის მოწყობა; ქ. საჩხერეში დავით აღმაშენებლის ქუჩაზე; ქ. საჩხერეში დოსითეოს წერეთლის ქუჩაზე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია; ქ. საჩხერეში ივ. გომართლის ქუჩაზე ხუთსართულიანი კორპუსის უკანა ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები; ქ. საჩხერეში თამარ მეფის ქუჩაზე ახალ დასახლებაში არსებული ს/გზების რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა; ქალაქ საჩხერეში აღმაშენებლის ქუჩაზე მრავალსართულიანი კორპუსის ეზოს მოწყობა, ბამბეულის ახალ დასახლებაში შიდა გზების მოწყობა; ქ. საჩხერეში თამარ მეფის ქუჩაზე მძიმეწონიანი სასწორის სამშენებლო სამუშაოები; ასევე მოეწყობა რკინა-ბეტონის გზა გრიშაშვილის ქუჩაზე, იაშვილის ქუჩაზე სასაფლაოსაკენ მიმავალ გზაზე, რუსთაველის ქუჩის ჩიხში, აკ. წერეთლის ქუჩის ჩიხში, 26 მაისი ქუჩის ჩიხში, კონსტიტუციის ქუჩაზე, მელიქიშვილის ქუჩაზე და სხვა.

1.1.6 მისასვლელი და საუბნო გზების კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 01 08)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა სოფელში რკინა-ბეტონის გზების მოწყობა და გზების რეაბილიტაციის პროექტირება, რითაც გაუმჯობესდება მუნიციპალიტეტის სოფლებში ფეხითა და ავტომობილით მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილება, კერძოდ დაგეგმილია შემდეგი სამუშაოები: საჩხერე-ქორეთის, სოფელ სპეთში (ხიდიდან სარიტუალო დარბაზამდე; საჯარო სკოლამდე), სოფელ კორბოულში (ჩიჩინას გორიდან იუსტიციის სახლამდე) საავტომობილო გზების პროექტირება. სოფლებში: ორლულში, ღონაში, დრბოში, საკოხიაში, პერევეში, კორბოულში, შომახეთში, ნიგვზარაში, სარეკში, ბაჯითში, მოხვაში, ცხომარეთში, საირხეში, ჭორვილაში, ქორეთში (გოგატიშვილების უბნებში), მერჯევში, ივანწმინდაში, გორისაში, ჯალაურთაში, მოძვში, ჭალოვანში, ღოდორაში, სავანეში, ბახიოთში, მახათაურში, იტავაზაში, ეთო-ეხვევში, სპეთში, ცხამში, არგვეთში, ლიჩში, ჩიხაში (ქვედა სამების ეკლესიისკენ მიმავალ გზაზე ცუხიშვილების უბანში), სხვიტორში, პასიეთში, ხვანში, წმანში, ქვემოხევში და სხვა მისასვლელი და საუბნო გზების კეთილმოწყობა; ქვედა ორლულში კალმახელიძეების უბანში გზაზე გაბიონის მოწყობა. ასევე ჩამოთვლილი სოფლების სხვადასხვა უბნებში მისასვლელი გზების საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება. სოფელ სხვიტორი-ჩიხის დამაკავშირებელი გზის პროექტირება. ციხე „მოდინახესაკენ“ მიმავალ გზაზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა; გაგრძელდება სოფელ ცხამში საავტომობილო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები, ჩიხის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლების საუბნო გზებზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა. მოხდება გზების მოხრეშვა ზედა ორლულში, არგვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლებში, კორბოულში შეყლაშვილები-კაპანაძეების სასაფლაოსკენ მიმავალ გზაზე, გორისაში, ბაჯითში მე-6 ქუჩაზე, ჭორვილაში ზუბიაშვილისა და ბერიძეების უბნებში, ხვანში. გაგრძელდება ზემოთ ჩამოთვლილი თითქმის ყველა სოფელის საუბნო გზების რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა და სხვა.

1.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საკანალიზაციო სისტემების, კოლექტორებისა და გამწმენდი ნაგებობების ექსპლოატაცია, გარე განათების ქსელის მოვლა. უზრუნველყოფილი იქნება ქ. საჩხერისა და მუნიციპალიტეტის სხვა დასახლებული პუნქტების დასუფთავება და ნაგვის გატანა.

1.2.1 მდინარის ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სოფელ ჭალოვანში მდინარეებზე ფიცხავასა და ძირულაზე ნაპირსამაგრი გაბიონების მოწყობის პროექტირება. ქ. საჩხერეში გომართლის I შესახვევში საირმულაზე გაბიონის მოწყობა, ასევე მოეწყობა გაბიონები სოფლებში: მერჯევში, ჭალაში სატიტის უბანში და მდინარე შუშაზე, დარყაში სკოლასთან მდინარე დარყულაზე, ხვანში რიკაძეების უბანში და სხვა.

1.2.2 დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქ. საჩხერის ქუჩების, სკვერების, მოედნების ყოველდღიური დასუფთავება. ქ. საჩხერიდან და მუნიციპალიტეტის რიგი სოფლებიდან და



ცენტრალური საავტომობილო გზის პირებიდან ნაგვის გატანა, ნაგავსაყრელამდე მიტანა, არსებული სანაგვე ურნების დეზინფექცია და სხვა. ამ ღონისძიებების განხორციელებით უზრუნველყოფილი იქნება ესთეტიკურად სუფთა გარემო და კეთილსაიმედო სანიტარიული მდგომარეობა. ხორციელდება ნაგვის ურნების შეძენა.

1.2.3 საკანალიზაციო სისტემის, კოლექტორების და გამწმენდი ნაგებობების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქ. საჩხერეში, რუსთაველის ქუჩაზე, სადრენაჟო სამუშაოების პროექტირება; სოფელ იცქისის საკანალიზაციო სისტემის მოწყობის პროექტირება (ქსელი და მაგისტრალი), დაიგეგმა სოფლებში: გორისაში, საირხეში, ჭორვილასა და მერჯევში სანიაღვრე არხების რეაბილიტაციისათვის პროექტირება - მოწყობა; სოფელ იცქისში მოწყობა საკანალიზაციო სისტემა. მოხდება ქ. საჩხერეში ივ. გომართლის ქუჩის ჩასახვევში საწისქვილო არხისა და საირხულას კალაპოტის გაწმენდა, მოწყობა სანიაღვრე არხები: სოფელ ჩიხაში სხვადასხვა უბანში, სავანეში მაკასარაშვილების უბანში, საირხეში ქველაძეების, სოფრომაძეები-შუკაკიძეების უბანში და სხვა.

1.2.4 ბინათმშენებლობა (პროგრამული კოდი 03 02 04)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია საცხოვრებლო კორპუსების ფასადების რეაბილიტაცია: ქ. საჩხერეში, ბამბულის დასახლებაში დავით აღმაშენებლის ქუჩაზე და სხვა, რაც შეეცვლის ქალაქის იერსახეს. დაიგეგმა მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში დავით აღმაშენებლის და მ. მაჭავარიანის ქუჩებზე ლიფტების პროექტირება შშმ პირებისათვის.

1.2.5 საჩხერის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წყალმომარაგება (პროგრამული კოდი 03 02 05)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში სასმელი წყლის პროექტირება და სასმელი წყლის სისტემის მოწყობა. კერძოდ: ჩიხის და ქორეთის ადმინისტრაციულ ერთეულებში სასმელი წყლის შიდა ქსელის პროექტირება, სოფელ ცხამის სასმელი წყლის პროექტირება, სოფელ შომახეთში სასმელი წყლის სისტემის მოწყობა (ხორციელდება პროექტი „სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში“); სოფლებში: ბახოთში ერაძეების უბანში, დურევში ნადირაძეების უბანში სასმელი წყლის ქსელის მოწყობა, კორბოულში გოგატიშვილების უბანში სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია და სხვა.

1.2.6 გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 06)

მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტების განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ქ. საჩხერეში არსებულ გარე განათების ქსელზე მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯები, ასევე გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა, ქსელის გაფართოების სამუშაოები და სხვა.

1.3 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. საჩხერის გამწვანება; სკვერების მოვლა-პატრონობა და მასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებები, ასევე 2018 წელს დაგეგმილია ახალი სკვერების და დასასვენებელი ადგილების მოწყობა.

1.3.1 ქ. საჩხერის გამწვანების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 03 03 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქ. საჩხერის ქუჩებში, სკვერებში და მოედნებზე არსებული მრავალწლიანი ნარგავების მოვლა-პატრონობა, მათი გასხვლა-გადაბელვა, სკვერებში და გაზონებში ერთწლიანი ნარგავების, ყვავილების და სხვათა დარგვა და მოვლა-პატრონობა. გარე-განათების ქსელის ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა და სხვა.

1.3.2 სკვერების მოწყობა (პროგრამული კოდი 03 03 03)

ამ ქვეპროგრამით გათვალისწინებულია ქ. საჩხერეში, ს.დურმიშიძის ქუჩაზე, ყოფილი კომისარიატის ტერიტორიაზე სკვერის მოწყობის სამუშაოები; ჩიჩინას გორაზე დასასვენებელი სკვერის მოწყობა



(სამოქალაქო ბიუჯეტი); ქალაქ საჩხერეში წერეთლის ქუჩაზე ყოფილი სპორტული სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერის მოწყობა და სხვა, რაც ეფექტურ გარემოს შეუქმნის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას. ასევე დაგეგმილია ყოფილი მეთესლეობის ტერიტორიაზე სკვერის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება, სოფელ სარეკში სკვერის მოწყობა და სხვა.

1.4 სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტები (პროგრამული კოდი 03 04)

ამ ქვეპროგრამით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ჭალასა და გორისაში ადმინისტრაციული ერთეულის შენობის მშენებლობა, ჭალის სარიტუალო დარბაზისა და მოხვის ამბულატორიის გაუმჯობესების სისტემის მოწყობა, სოფელ ბახიოთში მოსაცდელის რეაბილიტაცია და სხვა.

2. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობის აღზრდის მიმართულებით ზოგად განათლებასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში წელს განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. ამასთან, ამ პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებულია ზოგადი განათლების ხელშეწყობა და სკოლისგარეშე დაწესებულებების დაფინანსება.

2.1 სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

საჩხერის მუნიციპალიტეტში დღეისათვის ფუნქციონირებს 21 ერთეული საბავშვო ბაღი, რომელიც შედგება 44 სააღმზრდელო ჯგუფისაგან. საბავშვო ბაღებს საერთო ხელმძღვანელობას უწევს ამ მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღი. არსებულ ბაღებში ირიცხება 1371 აღსაზრდელი, რომელთა აღზრდას მოემსახურება 326 აღმზრდელი და ტექნიკური მუშაკი.

სკოლამდელი განათლების განვითარების სისტემის მიზანია აღსაზრდელთა მომზადება სასკოლო ეტაპისათვის. პროგრამის ფარგლებში მოხდება სკოლამდელი განათლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა, ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ხარისხის მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება. ასევე, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რომელიც გულისხმობს: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელებას, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწას, სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფას, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურის განვითარებას და სხვა.

2.2 ა(ა) იპ – საჩხერის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი (პროგრამული კოდი 04 03)

მოსწავლე-ახალგაზრდობის სწორი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანია მოსწავლე-ახალგაზრდობის დაწესებულებების მიზანმიმართული საქმიანობა. სწორედ ამიტომ ამ პროგრამის ფარგლებში ამ საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელებისათვის განსაზღვრულია მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ხარჯების დაფინანსება. აქ ფუნქციონირებს შემოქმედებითი და ტექნიკური წრეები, სადაც მოსწავლე-ახალგაზრდობა ეუფლება შესაბამის სკოლის გარეშე განათლებას.

2.3 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა რეაბილიტაცია და აღჭურვა (პროგრამული კოდი 04 04)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში საბავშვო ბაღების მშენებლობა და რეაბილიტაცია: სოფელ ჭალის, სოფელ სხვიტორის, სოფელ საირხის, სოფელ სარეკის, სოფელ ჩიხის, ქ. საჩხერეში აკ. წერეთლის საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია. სოფელ არგვეთის საბავშვო ბაღის მშენებლობა და სხვა.

3. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)



მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია კულტურული ტრადიციების დაცვისა და ღირსეული გაგრძელების ხელშეწყობა. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი აგრძელებს კულტურული, სპორტული და რელიგიური ორგანიზაციების და ახალგაზრდული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული და იმედისმომცემი სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა.

3.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული სკოლისა და საცურაო აუზის ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა, უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა. ამასთან, ამ პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების მოწყობა და გაგრძელება იმედისმომცემ სპორტსმენებზე ჯილდოების გაცემა.

3.1.1 სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განსაზღვრულია მუნიციპალიტეტის მასშტაბის სპორტული ღონისძიებების მოწყობა. კერძოდ: ფეხბურთში, ჭადრაკში, ჩოგბურთში, ძალოსნობაში, ჭიდაობაში და სხვა. ამასთან იმედისმომცემ სპორტსმენზე წლის განმავლობაში გაიცემა სხვადასხვა სახის ჯილდოები.

3.1.2 ა(ა)იპ – საჩხერის სასპორტო სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 02)

ა(ა)იპ საჩხერის სასპორტო სკოლა მთლიანად ფინანსდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით. აქ არსებულ 11 სპორტულ წრეში ჯანმრთელობას იკაჟებს 510 ბავშვი.

3.1.3 ა(ა)იპ – საჩხერის საცურაო აუზი (პროგრამული კოდი 05 01 03)

ა(ა)იპ – საჩხერის საცურაო აუზი საკუთარ შემოსავლებთან ერთად დაფინანსებას ღებულობს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდანაც. აქ სპორტული მკურნალობის კურსს გადის სქოლიოზითა და სხვადასხვა ტრამვეზით დაავადებული ბავშვები.

3.1.4 სპორტული ობიექტების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული მოედნების რებილიტაცია, ასევე პროექტირება. გაგრძელდება სპორტული მოედნების მოეწყობა, კერძოდ: საჩხერის ცენტრალური სტადიონის პროექტირება და სარეკონსტრუქციო სამუშაოები; ქ. საჩხერეში მე-3 საბავშვო ბაღის მიმდებარედ სპორტული მოედნის რებილიტაცია; სოფელ კორბოულში ტალახაძეებისა, ძაღლიძეების და სისვაძეების უბნებში სპორტული მოედნის მოწყობა. სოფელ ნიგვზარაში საფეხბურთო და სარაგბო მოედნის მოწყობა, ქ. საჩხერეში ძალოსნობის დარბაზის გაზიფიცირება, ეზოს კეთილმოწყობა და სხვა.

3.1.5 ა(ა)იპ „ოლიმპიურ ჩემპიონ ლაშა ტალახაძის სახელობის ძალოსნობის დარბაზი“ (პროგრამული კოდი 05 01 05)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ა(ა)იპ „ოლიმპიურ ჩემპიონ ლაშა ტალახაძის სახელობის ძალოსნობის დარბაზის“ სუბსიდირება. ახალი დარბაზი მეტ სტიმულს და დაინტერესებას მისცემს მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობას მათი ფიზიკური მომზადებისა და გაჯანსაღების მიზნით.

3.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება კულტურული დაწესებულებების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება და მოეწყობა სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის: გამოჩენილი ადამიანების საიუბილეო, სამოზაო-საახალწლო, თეატრალურ-მუსიკალური ღონისძიებები, სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები და სხვა.

ასევე პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის მიერ ა(ა)იპ-ის ფორმით



დაფუძნებული სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების, კულტურის სახლების და მუზეუმების, სულ 8 ერთეული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების დაფინანსება. შრომის ანაზღაურებასთან ერთად პროგრამა ითვალისწინებს სხვა მიმდინარე ხარჯების დაფინანსებასაც.

3.2.1 კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 01)

ამ ქვეპროგრამის ფარგლებში განსაზღვრულია დაფინანსდეს გამოჩენილი ადამიანების საიუბილეო, საშობაო-საახალწლო, თეატრალურ-მუსიკალური ღონისძიებები, გამოჩენილ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა, ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე დაფინანსდება ტრადიციული დღესასწაული „საჩხერლობა“.

3.2.2 კულტურული ობიექტების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 04)

პროგრამის ფარგლებში მოხდება სოფელ ჯრუჭში ჯრუჭის მონასტრის რეაბილიტაცია და გაზიფიცირება, მომზადდება კულტურულ-საინფორმაციო და ტურისტული ცენტრის (ცარციგორაზე არსებული კომპლექსის) პროექტირება.

3.2.3 სსიპ ს აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმი (პროგრამული კოდი 05 02 07)

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება გრანტით.

3.3 ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 04)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ახალგაზრდული ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებას, სახელმწიფოებრივი აზროვნების განვითარებას, ესთეტიკურ აღზრდას, ახალგაზრდების ჩართულობას თავისი ქალაქისა და ქვეყნის განვითარებაში.

3.4 ჭიათურისა და საჩხერის ეპარქია (პროგრამული კოდი 05 05)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული ეკლესია-მონასტრების ფუნქციონირების ხელშეწყობა.

4. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მოსახლეობის სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. არსებული რესურსების ფარგლებში გაგრძელდება სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფა. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

4.1 ჯანდაცვის პროგრამები (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

- არსებობის შემთხვევაში ცოფის კერების ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;
- დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციების გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება;
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;



- ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიულ დაავადებათა თავიდან აცილება;
- მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიაზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები.

4.2 სოციალური პროგრამები (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, ავადმყოფთა დახმარებას, სხვადასხვა ორგანიზების და ღონისძიებების სუბსიდირებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

4.2.1 ავადმყოფთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ავადმყოფთა სოციალური დაცვა. ამ მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაიცემა დახმარება შემდეგი სახის ავადმყოფებზე და შემდეგი ოდენობით:

1. საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეს, რომელსაც ესაჭიროება გეგმური და გადაუდებელი სტაციონარულ-ქირურგიული ოპერაცია და სხვა სამედიცინო მომსახურება მიეცემა დახმარება ერთჯერადად, არაუმეტეს 2000 (ორი ათასი) ლარამდე ოდენობით.
2. საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეს, რომელსაც ესაჭიროება სხვადასხვა სახის კვლევა, მიეცემა დახმარება ერთჯერადად, არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარამდე ოდენობით, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მოქალაქეს არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარამდე ოდენობით.
3. საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ, ეპილევსიით დაავადებულ მოქალაქეს მიეცემა დახმარება ყოველთვიურად არაუმეტეს 50 (ორმოცდაათი) ლარამდე ოდენობით.
4. საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეს, რომელიც თირკმლის უკმარისობის გამო გადის დიალევით მკურნალობის კურსს სხვადასხვა ქალაქში, მიეცემა დახმარება ყოველთვიურად 120 (ასოცი) ლარის ოდენობით.
5. საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ონკოპათოლოგიური დაავადების (ლეიკემია) მქონე არასრულწლოვან მოქალაქეს მიეცემა დახმარება ყოველთვიურად 200 (ორასი) ლარის ოდენობით, ხოლო სრულწლოვან მოქალაქეს მიეცემა დახმარება ყოველთვიურად 100 (ასი) ლარის ოდენობით.

4.2.2 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 02)

ამ ქვეპროგრამის ფარგლებში განსაზღვრულია შეზღუდული შესაძლებლობის პირთა სოციალური უზრუნველყოფა, ყრუთა კავშირისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სუბსიდირება.

4.2.2.1 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 02 01).

საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ შეზღუდული შესაძლებლობის



სტატუსის მქონე, არასრულწლოვან მოქალაქეს მიეცემა დახმარება ერთჯერადად 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

4.2.2.2 საქართველოს ყრუთა კავშირის საჩხერის ფილიალის ხარჯების სუბსიდირება (პროგრამული კოდი 06 02 02 02).

